
სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

82223699088122

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე ინდივიდუალური მეწარმის) მონაწილეობით პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალებით მინდობილობის/ რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N220984184

რეგისტრაციის თარიღი

03.08.2022 წ

ნოტარიუსი: ლია გოგია

მისამართი: თბილისი რუსთაველის გამზ. 46

ტელეფონი: 2997950

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

სანოტარო აქტი
საქართველო

ორიათას ოცდაორი წლის სამ აგვისტოს მე, ნოტარიუსს ლია გოგიას სანოტარო ბიუროში (მდებარე ქ. თბილისი, რუსთაველის გამზ. #46) პირდაპირი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალების გამოყენებით დამიკავშირდა **შოთა ზაზაშვილი**. მან განაცხადა, რომ არის **შპს „ტერა-2“-ს** (ს/კ405082618, იურიდიული მისამართი: თბილისი, ვაკის რ-ნი, დ. ბაგები, კორ.3, ბინა56) დირექტორი, ამჟამად იმყოფება ადიგენის რ-ნი, ს. უდეში და სურს ნოტარიუსის წინაშე ონლაინ რეჟიმში **შპს „ტერა-2“-ს** დირექტორის სახელით **ლევან ხუხაშვილის** მიმართ მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დამოწმება. მე დავადგინე სანოტარო მოქმედების მონაწილის პირადობა მის მიერ წარმოდგენილი პირადობის დამდგენი დოკუმენტით და სსიპ სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს ელექტრონული მონაცემთა ბაზის მეშვეობით და დავრწმუნდი, რომ მე ნამდვილად **შოთა ზაზაშვილმა** (დაბადებული 02.06.1946 წ., პ/#01008014922, პ/მოწ. #13IE67104, გაც. 27.05.2014წ. იუსტიციის სამინისტროს მიერ, განცხ. მის: **ქალაქი თბილისი, ბაგების დასახლება, კორპუსი 3, ბინა 56**) მომმართა. მე დავადგინე **შოთა ზაზაშვილის** უფლებამოსილება დასტურდება **ამონაწერით**, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, მომზადების თარიღი: 05/07/2022 13:18:13, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების მიერ, განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B2208345, საიდენტიფიკაციო კოდი: 405082618.

სანოტარო მოქმედების შესრულებას ესწრებოდნენ: **ბესიკ ბაღიშვილი** (დაბადებული 22.12.1977 წ., პ/# 29001002802, რეგ. მისამართი: **თბილისი დავით ყიფიანის ქ. N 23 ბ. 83**), როგორც ხელმომწერი და **რამაზ კაციაშვილი** (დაბადებული 12.09.1973 წ., პ/#01012028853, რეგ. მისამართი: **თბილისი ვაზისუბნის IV მ/რ III კვ. კორ. 7 ბ. 45**), როგორც მოწმე.

სანოტარო მოქმედების მონაწილეები (მოწმის ჩათვლით) გავაფრთხილე მოწმეობის გამომრიცხავი გარემოებების შესახებ, იმის შესახებ, რომ მოწმე არ უნდა იყოს რომელიმე მხარის ნათესავი აღმავალი და დამავალი ხაზით მესამე რიგით.

ვადასტურებ, რომ სანოტარო მოქმედების მონაწილეთა ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ გამაჩნდა. მე, ნოტარიუსმა ლია გოგიამ დავადგინე **მიმნდობის** ნების გამოვლენის ნამდვილობა, სანოტარო მოქმედების მონაწილეებს განვუმარტე სანოტარო მოქმედების შინაარსი და მისი შესრულების სამართლებრივი შედეგები, რის შემდგომაც, **მიმნდობმა** ხელმოწმერისა და მოწმის თანდასწრებით მიკარნახა შემდეგი შინაარსის მინდობილობა.

მინდობილობა

„ მე, **შოთა ზაზაშვილი**, როგორც **შპს „ტერა-2“-ს** (ს/კ405082618) დირექტორი, **ლევან ხუხაშვილს** (დაბადებული25.01.1984წ., პ/#01007011144), ვანიჭებ შემდეგ უფლებამოსილებას:

იყოს **შპს „ტერა-2“-ს** წარმომადგენელი და დაიცვას კომპანიის ინტერესები თბილისის მერიაში და მის სამსახურებში, ქ. თბილისის მერიის არქიტექტურის სამსახურში, ზედამხედველობის სამსახურში, მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების სამსახურში, გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურში, თბილისის მერიის სსიპ ქონების მართვის სააგენტოში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, კულტურისა და სპორტის სამინისტროში, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში, შეიტანოს განცხადებები, საჭირო საბუთები, ცნობები, თანხმობები, მიიღოს ნებართვები, აწარმოოს მოლაპარაკებები, ხელი მოაწეროს ჩემი, როგორც **შპს „ტერა-2“-ს** დირექტორის სახელით შესაბამის დოკუმენტებს და აწარმოოს ყველა ის მოქმედება, რაც დაკავშირებული იქნება ზემოთმითითებული დავალების შესასრულებლად.

ეს მინდობილობა გაცემულია გადანდობის უფლების გარეშე, ორი წლის ვადით.“

წინამდებარე მინდობილობის ტექსტი ჩავიწერე მე, ნოტარიუსმა ლია გოგიამ, რომელიც პირდაპირი კომუნიკაციის რეჟიმში წავუკითხე მიმნდობს. მიმნდობმა დამიდასტურა, რომ მინდობილობის ტექსტი სრულად შეესაბამება მის ნებას და რომ მის ნაცვლად მინდობილობის ტექსტზე ხელის მოწერის უფლებას ანდობს **ბესიკ ბაღიშვილს.**

ბესიკ ბაღიშვილმა და **რამაზ კაციაშვილმა** წაიკითხეს და ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერეს ხელი მინდობილობას.

მინდობილობა შედგენილია სამ თანაბარმნიშვნელოვან ეგზემპლარად, რომლის ერთი ეგზემპლარი ინახება ლია გოგიას სანოტარო საქმეებში, ხოლო დანარჩენი გადაეცა "მინდობილ პირს". მინდობილობის იმ ეგზემპლარს, რომელიც ინახება ლია გოგიას სანოტარო ბიუროში, თან ერთვის შპს „ტერა-2"-ს ამონაწერი საჯარო რეესტრიდან.

გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისთვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისთვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის დადგენილება № 507-ისა (29.11.2011 წ.) და ამ დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის 2022 წლის 30 მაისის დადგენილება № 272-ის 32-ე მუხლის საფუძველზე - 90 (ოთხმოცდაათი) ლარი, 39-ე მუხლის საფუძველზე 5 (ხუთი) ლარი

მიმნდობის ნაცვლად მისივე თხოვნით
ხელს აწერს **ბესიკ ბაღიშვილი:** ბესიკ ბაღიშვილი

მოწმე **რამაზ კაციაშვილი:** რამაზ კაციაშვილი

ნოტარიუსი **ლია გოგია:**